

შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	1
---	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	6
2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. საოპერაციო შემოსავალი	12
5. ხარჯების გაშიფვრა მათი ბუნების მიხედვით	12
6. ფინანსური ხარჯი, წმინდა.....	12
7. ძირითადი საშუალებები	13
8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	14
11. მიღებული სესხები	14
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
13. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე	14
14. დაკავშირებული მხარეები	16
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	17

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლ“).

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების
მომზადებასა და დამტკიცებაზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული IFRS-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები IFRS-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შესაბამეობა IFRS-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 24 სექტემბრის.



არმაზ მარიამიძე

დირექტორი

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების
მომზადებასა და დამტკიცებაზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული IFRS-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები IFRS-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება IFRS-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 24 სექტემბერს.

არმაზ მარიამიძე

დირექტორი

შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	გ/შ	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	4	4,526	3,470
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(2,901)	(1,974)
საერთო მოგება		1,625	1,496
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(581)	(519)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	6	-	(4)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა		(11)	(3)
დასაბეგრი მოგება		1,033	970
მოგების გადასახადის ხარჯი		(19)	(47)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		1,014	923

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 24 სექტემბერს.



არმაზ მარიამიძე

დირექტორი

შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	გ/შ	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	4	4,526	3,470
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(2,901)	(1,974)
საერთო მოგება		1,625	1,496
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(581)	(519)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	6	-	(4)
მოგება/(ზარალი) საკუთრივ სხვაობიდან, წმინდა		(11)	(3)
დასაბეგრი მოგება		1,033	970
მოგების გადასახადის ხარჯი		(19)	(47)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		1,014	923

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 24 სექტემბერს.

არმაზ მარიამიძე

დირექტორი

შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	გ/შ	31-დეკ-24	31-დეკ-23
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	865	713
არამატერიალური აქტივები		195	207
		1,060	920
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	586	245
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,266	895
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	373	380
		2,225	1,520
სულ აქტივები		3,285	2,440
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		60	60
გაუნაწილებელი მოგება		2,652	1,867
		2,712	1,927
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	-	-
		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	-	207
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	573	306
		573	513
სულ ვალდებულებები		573	513
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,285	2,440

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 24 სექტემბერს.



არმაზ მარიამიძე

დირექტორი

შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	გ/შ	31-დეკ-24	31-დეკ-23
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	865	713
არამატერიალური აქტივები		195	207
		1,060	920
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	586	245
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,266	895
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	373	380
		2,225	1,520
სულ აქტივები		3,285	2,440
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		60	60
გაუნაწილებელი მოგება		2,652	1,867
		2,712	1,927
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	-	-
		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	-	207
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	573	306
		573	513
სულ ვალდებულებები		573	513
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,285	2,440

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 24 სექტემბერს.

არმაზ მარიამიძე

დირექტორი

შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	60	1,517	1,577
წლიური მოგება	-	923	923
დივიდენდების გადახდა	-	(573)	(573)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	60	1,867	1,927
წლიური მოგება	-	1,014	1,014
დივიდენდების გადახდა	-	(229)	(229)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	60	2,652	2,712

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,
ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 24 სექტემბერს.



არმაზ მარიამიძე

დირექტორი

შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	60	1,517	1,577
წლიური მოგება	-	923	923
დივიდენდების გადახდა	-	(573)	(573)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	60	1,867	1,927
წლიური მოგება	-	1,014	1,014
დივიდენდების გადახდა	-	(229)	(229)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	60	2,652	2,712

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 24 სექტემბერს.

არმაზ მარიამიძე

დირექტორი

შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლიური მოგება	1,014	923
კორექტირებები:		
- მოგების გადასახადის ხარჯი	19	47
- ცვეთა და ამორტიზაცია	167	102
- საპროცენტო ხარჯი	-	4
- მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	11	3
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)	(371)	(246)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდა/(შემცირება)	(341)	(79)
სავაჭრო ვალდებულებების შემცირება/(ზრდა)	267	66
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	766	820
გადახდილი მოგების გადასახადი	(19)	(47)
გადახდილი პროცენტი	-	(4)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	747	769
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(268)	(292)
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხი	(300)	-
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხის უკან დაბრუნება	300	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(39)	(214)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(307)	(506)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების მიღება	-	190
სესხების გადახდა	(207)	(146)
დივიდენდების გადახდა	(229)	(573)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	(436)	(529)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში	(11)	(4)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	(7)	(270)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	380	650
	373	380

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 24 სექტემბერს.



არმაზ მარიამიძე

დირექტორი

შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლიური მოგება	1,014	923
კორექტირებები:		
- მოგების გადასახადის ხარჯი	19	47
- ცვეთა და ამორტიზაცია	167	102
- საპროცენტო ხარჯი	-	4
- მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	11	3
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)	(371)	(246)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდა/(შემცირება)	(341)	(79)
სავაჭრო ვალდებულებების შემცირება/(ზრდა)	267	66
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	766	820
გადახდილი მოგების გადასახადი	(19)	(47)
გადახდილი პროცენტი	-	(4)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	747	769
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(268)	(292)
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხი	(300)	-
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხის უკან დაბრუნება	300	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(39)	(214)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(307)	(506)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების მიღება	-	190
სესხების გადახდა	(207)	(146)
დივიდენდების გადახდა	(229)	(573)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	(436)	(529)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(11)	(4)
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში	(7)	(270)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	380	650
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	373	380

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 24 სექტემბერს.

არმაზ მარიამიძე

დირექტორი

1. ზოგადი ინფორმაცია

“პათოლოგიის კვლევითი ცენტრი” (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს თითქმის ყველა სახის მორფოლოგიურ გამოკვლევას. კომპანიის ლაბორატორია მდებარეობს თბილისში, დიღომში, ჩაჩავას ქ.1.

კომპანიის მფლობელები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
შპს „ვივო მედიკალ გრუპი“	50%	50%
ფ.პ „არმაზ მარიამიძე“	50%	50%

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის), ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია წარმოადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგებას ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, რადგან თვლის, რომ ანგარიშგების მკითხველს უფრო გამოსადეგ ინფორმაციას აძლევს ეს მეთოდი, ვინაიდან იგი უკეთესად ასახავს თუ როგორ იმართება ოპერაციები ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია თვითღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. თვითღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

კომპანიის მენეჯმენტმა შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც, ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით.

შესაბამისად, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

2.2. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

ახალი და შეცვლილი სტანდარტები

კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

შემდეგი ახალი ან შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები ძალაში 2024 წლის 1 იანვარს შევიდა, მაგრამ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე:

ფასს 16-ის ცვლილება:	საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას;
ცვლილებები ბასს 1-ში:	გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით
ცვლილებები ბასს 1-ში:	ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად;
ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები	მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები.

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა:

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ფინანსური ანგარიშგებების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ.

კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე, თუკი ისინი კომპანიას მიესადაგება. მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 21-ში:	უცხოური ვალუტის კურსების ცვლილებების შედეგები, სახელწოდებით „გაცვლითი შესაძლებლობების ნაკლებობა“
ფასს 18:	ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა და განმარტებები
ფასს 19:	შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებები

2.3. შემოსავლის აღიარება

კომპანია მომსახურებას უწევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მორფოლოგიური კვლევების მიმართულებით. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის თუ მომსახურების სანაცვლოდ. კომპანიამ დაასკვნა, რომ ამონაგებთან დაკავშირებულ გარიგებებში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

მარწმუნებლის სახით გამოდის, ვინაიდან, როგორც წესი, საქონელს ან მომსახურებას თვითონ აკონტროლებს მომხმარებლებისთვის გადაცემამდე.

სამედიცინო მომსახურების ძირითადი მიმართულებაა მორფოლოგიური გამოკვლევები.

კომპანია ხელშეკრულებებს აღრიცხავს მხოლოდ მაშინ, როცა ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- ხელშეკრულების მხარეებს დადასტურებული აქვთ ხელშეკრულება (წერილობით ან ზეპირსიტყვიერად, მომსახურების ტიპიდან გამომდინარე) და ნაკისრი აქვთ შესაბამისი ვალდებულების შესრულება
- კომპანიას შეუძლია თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიკაცია გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებით
- კომპანიას შეუძლია გასაწევი მომსახურებისთვის გადახდის პირობების იდენტიფიკაცია
- ხელშეკრულებას აქვს კომერციული შინაარსი
- მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს საზღაურს, რომლის მიღების უფლება ექნება მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევის სანაცვლოდ

მომსახურება გაიწევა ხელშეკრულების საფუძველზე. მომსახურებიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება დროის გარკვეულ მომენტში.

კომპანიამ გამოიყენა შემდეგი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა:

- კომპანია არ აკორექტირებს ანაზღაურების დათქმულ თანხას დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით იმ შემთხვევაში, თუ პერიოდი, როდესაც კომპანია კლიენტს გადასცემს დაპირებულ საქონელს ან უწევს მომსახურებას და როდესაც კლიენტი იხდის თანხას საქონლის ან მომსახურებისთვის, არის ერთი წელი ან უფრო ნაკლები, და
- კომპანია კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებულ დამატებით დანახარჯებს აღიარებს, როგორც გაწეულ ხარჯს, რომელიც დგება იმ შემთხვევაში, თუ იმ აქტივის ამორტიზაციის პერიოდი, რომელსაც კომპანია სხვაგვარად აღიარებდა, წარმოადგენს ერთ წელს ან უფრო ნაკლებს.

2.4. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რაც შეადგენს 5 წელს.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, საბალანსო ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.5. არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის (15% წრფივი დარიცხვის მეთოდით) გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

2.6. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

2.7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნაღებ დანახარჯებს.

მომძველებელი მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

2.8. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორისთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარების დროს ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია მათი საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომლითაც ის ამ ფინანსურ აქტივებს მართავს. სავაჭრო მოთხოვნების გამოკლებით, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ან რომლებისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული

შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

ხასიათის გამარტივებული მიდგომა გამოიყენა, კომპანია ფინანსურ აქტივს თავდაპირველად აღიარებს მისი სამართლიანი ღირებულებით და, თუ ფინანსური აქტივი არ არის აღიარებული

სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მას უმატებს გარიგების დანახარჯებს. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს 15-ის შესაბამისად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელოდა, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული განაკვეთით.

ფინანსური ვალდებულებები

საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარებულია დამატებითი და პირდაპირი დანახარჯებით დაკორექტირებული სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ნასესხებ სახსრებს.

სესხები და ნასესხები სახსრები

საწყისი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხებისა და ნასესხები სახსრების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსური დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, როგორც წესი, ნასესხები სახსრებზე ვრცელდება.

2.9. უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ₾), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	USD / ₾	EUR / ₾
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2.81	2.93
საშუალო გაცვლითი კურსი 2024 წელს	2.72	2.94
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.69	2.97
საშუალო გაცვლითი კურსი 2023 წელს	2.62	2.84

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და თვითღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.10. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დააკანონა მოგების გადასახადის ახალი („ესტონური“) მოდელი, რაც ძირითადად გულისხმობს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების დივიდენდად განაწილების შემთხვევაში (ნაცვლად მოგების დაბეგვრისა გამომუშავების მომენტში). შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიის დასაბეგრი მოგება არის გადახდილი დივიდენდების ტოლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამისი გადასახადი აღიარდება პირდაპირ კაპიტალში გადახდილ დივიდენდებთან ერთად. ამრიგად, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადი.

2.11. ანარიცხები (რეზერვები)

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან შეფასებებს და დაშვებებს კომპანიის სამომავლო ფუნქციონირებაზე. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

საგადასახადო კანონმდებლობა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

დაკავშირებული მხარის ოპერაციები.

ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი

შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ, შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი. დაშვების საფუძველს წარმოადგენს მსგავსი ტრანზაქციების ღირებულება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. საოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	4,526	3,470
სულ შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	4,526	3,470

5. ხარჯების გაშიფვრა მათი ბუნების მიხედვით

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს გაწეული მომსახურების თვითღირებულებას და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს მათი ბუნების მიხედვით.

მომსახურების თვითღირებულება

	2024	2023
გამომუშავებითი ანაზღაურება	1,241	854
გამოყენებული მარაგები	955	518
ლაბორატორიული და სხვა სამედიცინო მომსახურება	689	587
სხვა	16	15
სულ მომსახურების თვითღირებულება	2,901	1,974

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
თანამშრომელთა კომპენსაცია	261	262
ცვეთა და ამორტიზაცია	167	102
სამეურნეო და საოფისე ხარჯი	35	25
კომუნიკაციის ხარჯი	25	12
ბანკის საკომისიო	24	15
მომსახურების ხარჯი	19	6
იჯარის ხარჯი	14	14
კონვერტაციის ხარჯი	7	6
რემონტის და შეკეთების ხარჯი	5	26
მივლინების ხარჯი	2	10
საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ხარჯი	-	7
სხვა	22	34
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	581	519

6. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი სესხზე	-	4
სულ საპროცენტო ხარჯი	-	4

შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

7. ძირითადი საშუალებები

	სამედიცინო აღჭურვილობა	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სხვა	სულ
ღირებულება				
31 დეკემბერი 2022	844	2	84	930
შემენა	268	-	24	292
31 დეკემბერი 2023	1,112	2	108	1,222
შემენა	231	-	37	268
31 დეკემბერი 2024	1,343	2	145	1,490
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2022	373	1	43	417
პერიოდის ცვეთა	77	-	15	92
31 დეკემბერი 2023	450	1	58	509
პერიოდის ცვეთა	100	-	16	116
31 დეკემბერი 2024	550	1	74	625
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2023	662	1	50	713
31 დეკემბერი 2024	793	1	71	865

ცვეთის ხარჯი შედის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები შედგება წამლებისგან და სამედიცინო სახარჯი მასალებისგან.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.დეკ.24	31.დეკ.23
მოთხოვნები მფლობელი საწარმოებისგან	-	96
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	393	43
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	862	725
სულ სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	1,255	864
გადახდილი ავანსები	11	31
საგადასახადო აქტივი, წმინდა	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,266	895

მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი. მოთხოვნების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს მოთხოვნებს მფლობელი საწარმოებისა და დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნას.

შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.დეკ.24	31.დეკ.23
ფული სალაროში	2	2
ფული სს „თიბისი ბანკი“	371	378
	373	380

11. მიღებული სესხები

	31.დეკ.24	31.დეკ.23
სს „თიბისი ბანკისგან“ სესხის მოკლევადიანი ნაწილი (GEL 228) 13%	-	207
სულ მოკლევადიანი სესხები	-	207

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.დეკ.24	31.დეკ.23
გადასახდელი ხელფასები	37	26
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	532	277
მიღებული ავანსები	4	3
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	573	306

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

13. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი (დებიტორი) ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი (დავალიანება) ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, კომპანია ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და საფასო რისკების მინიმიზაცია ყველა სახის ტრანზაქციებზე;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;

შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები	31.დეკ.24	31.დეკ.23
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,266	895
ფული და ფულის ეკვივალენტები	373	380
	1,639	1,275

ფინანსური ვალდებულებები	31.დეკ.24	31.დეკ.23
სესხები	-	207
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	573	306
	573	513

საკრედიტო რისკი

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკს და ცდილობს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ჰქონდეს ურთიერთობა. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი:

	31.დეკ.24	31.დეკ.23
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,266	895
ფული ბანკში	371	378
	1,637	1,273

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებები დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით (საკონტრაქტო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები).

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	სულ
სესხები	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	573	-	573
31.დეკ.24	573	-	573

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	სულ
სესხები	207	-	207
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	306	-	306
31.დეკ.23	513	-	513

ამჟამად კომპანია თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში. ამისათვის კომპანია ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

შპს „პათოლოგიის კვლევითი ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარში)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი ეხება საბანკო სესხებს (გ/შ 11). ბანკი იტოვებს უფლებას, გაზარდოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, მითითებული საკრედიტო ხელშეკრულებაში, თუ საბაზრო განაკვეთები გაიზარდება. მენეჯმენტი არ ელოდება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არსებით ცვლილებას.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით:

	ლარი	აშშ. დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,266	-	-	1,266
ფული და ფულის ეკვივალენტები	373	-	-	373
31.დეკ.24	1,639	-	-	1,639

	ლარი	აშშ. დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	895	-	-	895
ფული და ფულის ეკვივალენტები	380	-	-	380
31.დეკ.23	1,275	-	-	1,275

ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით:

	ლარი	აშშ. დოლარი	ევრო	სულ
სესხები	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	194	354	25	573
31.დეკ.24	194	354	25	573

	ლარი	აშშ. დოლარი	ევრო	სულ
სესხები	207	-	-	207
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	158	88	60	306
31.დეკ.23	365	88	60	513

14. დაკავშირებული მხარეები

ტრანზაქციების ოდენობა:

	2024	2023
გაყიდვები მფლობელ საწარმოებზე	-	128
გაყიდვები მენეჯმენტის მიერ კონტროლირებულ საწარმოებზე	572	175
შესყიდვები მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოებისგან	2	5
მენეჯმენტის ანაზღაურება	41	38

ნაშთები 31 დეკემბერს:

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	393	43
მფლობელი საწარმოები	-	96

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2025 წლის ივლისში კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდი 248 ლარის ოდენობით.